








გადატანის ოპერაცია

ორის ბულეტენში ერთ მონაცემთა ბაზაში შესაძლებელია რამდენიმე ღირებულების ცენტრის (საწყობის) დამატება და მათი მართვა. გადატანის ოპერაციის საშუალებით შეგიძლიათ ერთი ღირებულების ცენტრიდან (საწყობიდან) მეორეში გადაიტანოთ საქონელი და ძირითადი საშუალება, ასევე შეგიძლიათ ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადაიტანოთ, როგორც საქონელი ისე ძირითადი საშუალებაც.


განვიხილოთ ერთი ღირებულების ცენტრიდან მეორეში საქონლის გადატანის მაგალითი.

მენეჯერული აღრიცხვა/ გადატანის ოპერაციები . გადატანის ოპერაციის


დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დაანკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.

	ჩანაწერის დამატება	Ins
	ჩანაწერის დუბლირება	Ctrl+F2
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del
	კოპირება (Ctrl+Shift+C)	Ctrl+C
	ჩასმა	Ctrl+V



იხილავთ ეკრანს:



გამოსულ ეკრანზე, ველში „ოპერაციის თარიღი“ ჩანერეთ სასურველი თარიღი. ველს „დოკუმენტის ნომერი“ ავტომატურად ავსებს სისტემა, შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ნომერი.

ველში „ღირებულების ცენტრიდან“ მიუთითეთ სასურველი ღირებულების ცენტრი (საწყობი), საიდანაც უნდა გადაიტანოთ საქონელი. დადებით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით ღირებულების ცენტრის სიაზე და მოძებნეთ სასურველი ღირებულები ცენტრი (ამ შემთხვევაში „საწყობი“) დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.



ველში „ღირებულების ცენტრში“ მიუთითეთ ის საწყობი რომელშიც გადაგაქვთ საქონელი.

თუ ასეთი საწყობი ჯერ არ გაქვთ დამატეთ დადექით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით ღირებულების ცენტრის სიაზე, ჩანაწერი,  დამატების ღილაკის გამოყენებით. გამოსული ეკრანი შეავსეთ შესაბამისი ინფორმაციით. (ამ შემთხვევაში საწყობს დაარქვით „საწყობი1“) დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“, შემდეგ ღილაკს „ავირჩიოთ“


ველში „კომენტარი“ მიუთითეთ ოპერაციის კომენტარი ან აირჩიეთ სასურველი კომენტარი სიიდან.

ბარათში „სხვადასხვა“ შევსებული იქნება ველები სასაქონლო ბედნადების, საგადახდო დოკუმენტის ნომერს და აიდის. იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია ჩამოტვირთული გაქვთ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან ან ხელით გაქვთ მითითებული აღნიშნული ველების მნიშვნელობები.


დაბრუნდით ბარათზე „მთავარი“

ბარათში „საგნები“ დაამატეთ ჩანაწერი , ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკი  (ან კლავიატურაზე Insert). დადექით ველზე „კოდი“ ან „საგანი“ . თუ იცით გადასატანი საქონლის კოდი ან დასახელება დადექით შესაბამის ველზე და ჩანერეთ თუ არ იცით , დადექით ველზე „კოდი“ ან „საგანი“  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) გადით საგნების სიაზე მოძებნეთ სასურველი საქონელი და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“ .



ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ გადასატანი რაოდენობა ამ შემთხვევაში „25“



დააჭირეთ ღილაკზე „შევინახოთ“ . იხილავთ ეკრანს:



თუ გსურთ რომ თქვენს მიერ დამატებული გადატანის ოპერაციის შესრულებით შესრულდეს შესაბამისი საბუღალტრო გატარებები, დააჭირეთ ღილაკს „კი“, თუ არ გსურთ დაანკაპეთ ღილაკს „არა“ თუ ისევ გადატანის ოპერაციის ეკრანზე გსურთ დაბრუნება დააჭირეთ ღილაკს „უარი“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაანკაპეთ ღილაკს „კი“, გადატანის ოპერაციების სიაში დამატება თქვენს მიერ შესრულებული გადატანის ოპერაცია, რომელსაც მოყვება შესაბამისი საბუღალტრო გატარებები.

საბუღალტრო გატარებები, რომელიც გადატანის ოპერაციების შესრულებას მოყვა შეგიძლიათ ნახოთ, **ბუღალტერია/გატარებები** ან შეგიძლიათ დადგეთ თქვენს მიერ შესრულებულ გადატანის ოპერაციაზე, გადატანის ოპერაციების ეკრანში და დააჭიროთ ღილაკს  შემდეგ .დააჭიროთ ღილაკს  **გატარებები** . იხ.ეკრანს:

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტო თანხა	კრედიტო თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი	დებიტო რაოდენი	კრედიტო რაოდენი	ერთეულ	მ. კ.
▶ 1	1610 1	001 საქონელი1	341.81		GEL	საწყობი1	25.0000		ცალი	
2	1610 1	001 საქონელი1		341.81	GEL	საწყობი		25.0000	ცალი	
			341.81	341.81						

შეგიძლიათ ნახოთ გატარებები და დახუროთ ეკრანი.

გადატანის ოპერაციით შესაძლებელია ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადაიტანოთ საქონელი.

თუ თქვენ ერთი საქონელი დამატებული გაქვთ ორ სხვადასხვა ანგარიშზე და ერთის ნაშთი გინდათ გადაიტანოთ მეორეზე შეგიძლიათ ეს მოქმედება შეასრულოთ გადატანის ოპერაციით.


დაამატეთ კიდევ ერთი გადატანის ოპერაცია .


ველში „ღირებულების ცენტრიდან “ მიუთითეთ „საწყობი“.

ველში „ღირებულების ცენტრში“ მიუთითეთ „საწყობი1“.

ბარათში „საგანი“ დაამატეთ ჩანაწერი და მიუთითეთ „საქონელი 1“.



ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ „5“ .


იმისათვის რომ განსაზღვროთ, რომელ ანგარიშზე გადაგაქვთ მონიშნული საქონელი დააჭირეთ ღილაკს  იხილავთ ანგარიშთა გეგმის ეკრანს. მოძებნეთ სასურველი ანგარიში და დააჭირეთ ღილაკს „ავიზრჩით“ (ამ შემთხვევაში ავირჩიეთ „1620“).თქვენს მიერ არჩეული ანგარიში საქონელს მითითება ველში „დანიშნულების მშობელი ანგარიში“.



დააჭირეთ ღილაკზე „შეინახოთ“.

დაეთანხმეთ საბუღალტრო ოპერაციის შესრულებას „კი“ ღილაკზე დაჭერით.

დადგეთ თქვენს მიერ შესრულებულ გადატანის ოპერაციაზე, გადატანის ოპერაციების ეკრანში და დააჭიროთ ღილაკს  შემდეგ .დააჭიროთ ღილაკს  გატარებები . იხ.ეკრანს:



შეგიძლიათ ნახოთ გატარებები და დახუროთ ეკრანი.